

მოქალაქეთა ჩართულობის საგრანტო პროგრამა საპროექტო იდეების კონკურსი

„ადმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ (EWMI) „სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის“ პროექტი (ACCESS) იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით, რეგიონულ ორგანიზაციებს, „მოქალაქეთა ჩართულობის საგრანტო პროგრამაში“ (COG) საპროექტო იდეების წარსადგენად.

„მოქალაქეთა ჩართულობის საგრანტო პროგრამის“ მიზანი საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვა და მათი მხარდაჭერაა შემდეგი გზებით:

- I. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის მჭიდრო კავშირის ხელშეწყობით
- II. მოქალაქეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვეთით
- III. ამ საკითხების გადაჭრაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფით

პროგრამა ორიენტირებულია არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მოქალაქეების ჩართვაზე, რათა მოქალაქეებმა შეძლონ, წინ წამოიწიონ და თავადვე მოაგვარონ მათთვის ყველაზე პრიორიტეტული პრობლემები. შესაბამისად, ამ პროგრამით დაფინანსებული პროექტების წარმატება იზომება იმით, თუ რამდენად შეძლო ორგანიზაციამ მოქალაქეების მობილიზება და ჩართვა და არა იმით, მოახერხა თუ არა მან იდენტიფიცირებული პრობლემის სრულად გადაწყვეტა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ საპროექტო იდეები (არაუმეტეს 1000 სიტყვისა) მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე სამოქალაქო კამპანიების განსახორციელებლად უკვე ნაცადი და წარმატებული ან ინოვაციური მიდგომების გამოყენებით. დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ საგრანტო დფინანსება გამოეყენონ:

ა. მოქალაქეთა მობილიზებისა და მონაწილეობის წარმატებული ინიციატივების/მიდგომების (დასრულებული ან მიმდინარე) გასაგრძელებლად ან/და განსავრცობად. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, EWMI ACCESS-ი ინოვაციურ მეთოდებს წახალისებს, თუ კონკურსში მონაწილე ორგანიზაცია დაასაბუთებს, რომ მის მიერ წარსულში შემუშავებული და გამოყენებული მიდგომები კარგად მუშაობს და მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს, EWMI ACCESS-ი მოხარული იქნება, მხარი დაუჭიროს მათ კვლავ გამოეყენებასა და განვითარებას. უკვე ნაცად და წარმატებულ სტრატეგიაზე დაფუძნებულ საპროექტო იდეაში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი სტრატეგიის არსი, მისი წარმატების ძირითადი მიზეზ(ებ)ი და ამ სტრატეგიის გამოყენებით უფრო დიდ ან/და მდგრად შედეგების მიღწევის გზები.

ან

ბ. ახალი, კრეატიული და ექსპერიმენტული მიდგომების დასატესტად ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებთან მჭიდრო თანამშრომლობით. იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეებთან კომუნიკაციის და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობით მათი დაინტერესების ტრადიციული მეთოდები ხშირად არაეფექტურია, მნიშვნელოვანია ინოვაციური მიდგომების შემუშავება და დანერგვა. ამის მიღწევის ერთ-ერთი გზა სხვადასხვა (განსხვავებული) ჯგუფებისა და ინდივიდების შემოქმედებითი და პროფესიული უნარების გამოყენებაა, რთ მათ დხმარებით მოხდეს ახალი იდეების გენერირება და ამ იდეების სხვადასხვა პერსპექტივიდან

განაღწევა და ვალდებულება. შესაბამისად, სასურველია, რომ ინოვაციაზე ორიენტირებული საპროექტო იდეები განსხვავებული ჯგუფებისა და პროფესიონალების თანამონაწილეობას ეფუძნებოდეს. ასეთ საპროექტო იდეებში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი პროექტის ძირითადი მიზანი და განხორციელების ინოვაციური გზები და დაკონკრეტებული იყოს იმ ჯგუფთა/ორგანიზაციათა/პირთა ვინაობა, ვინც მონაწილეობას მიიღებს დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

პირველ ეტაპზე EWTI ACCESS-ი განიხილავს მიღებულ საპროექტო იდეებს და შეარჩევს მათგან საუკეთესოებს, რის შემდეგაც, განმცხადებელ ორგანიზაციასთან ერთად, იმუშავებს დეტალური (სრული) პროექტის, მათ შორის, სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის მომზადებაზე. ამისთვის, EWTI ACCESS-ი ორგანიზებას გაუკეთებს „სოციალური ლაბორატორიის“ ფორმატის სამუშაო შეხვედრებს (ე.წ. co-creation-ის მეთოდის¹ გამოყენებით) მრავალფეროვანი მონაწილეებით, რაც ხელს შეუწყობს შერჩეული პრობლემ(ებ)ის სრულყოფილად გააზრებას, ამ პრობლემ(ებ)ის გადაჭრის კრეატიული გზების განსაზღვრას და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებაში მეტი ადამიანის ჩართვას, რაც, თავის მხრივ, გაზრდის წარმატების შანსს.

გრანტების გაცემა

COG-ი საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მაქსიმუმ 5 პროექტი. თითოეული პროექტის ბიუჯეტი 15000 აშშ დოლარს, ხოლო ხანგრძლივობა 7 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. EWTI ACCESS-ი იტოვებს უფლებას, დააფინანსოს ნებისმიერი წარმოდგენილი პროექტი, ან არ დააფინანსოს არცერთი.

მონაწილეობის უფლება

საგრანტო პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

- იყოს რეგისტრირებული როგორც არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელსაც „საქართველოს კანონით გრანტების შესახებ“ შეუძლია მიიღოს გრანტი
- იყოს დამოუკიდებელი და პოლიტიკურად ნეიტრალური
- ჰქონდეს არანაკლებ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება. როგორც წესი, EWTI ACCESS-ი არ აფინანსებს დამწყებ ორგანიზაციებს. გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ახლად დაფუძნებული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ან/და თანამშრომლებს აქვთ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება/ცოდნა და ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხ(ებ)ზე (ავსებს იმ ნიშას), რომელსაც, მნიშვნელობის მიუხედავად, წარსულში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა
- ჰქონდეს მმართველობითი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელი რგოლის როტაციას და უფლებამოსილებათა ადეკვატურ გადანაწილებას, რაც გამოიხატება, სულ მცირე, გამგეობის, გამგეობის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობების არსებობით. გამგეობის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი არ უნდა იყოს ერთი და იგივე პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ორგანიზაციის მცირე ზომა არ იძლევა ამ ორი თანამდებობის გამიჯვნის საშუალებას. თუ საგრანტო განაცხადის წარმდგენი ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, მან უნდა განმარტოს, თუ როგორ უზრუნველყოფს მომავალში მოთხოვნილი სტანდარტის დაკმაყოფილებას
- ჰქონდეს გამჭვირვალე საბუღალტრო სისტემა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტებთან (IAS). ასეთი სისტემის არარსებობის შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს EWTI ACCESS-თან, რათა მისი დახმარებით შეძლოს საბუღალტრო სისტემის დახვეწა
- არ ჰქონდეს დავალიანება. ნებისმიერი ვალი სახელმწიფოს ან სხვა პირის წინაშე უნდა იყოს ჩამოწერილი/ანაზღაურებული, ან ვალის დაფარვა უნდა მოხდეს EWTI ACCESS-ის გრანტის პირველი ტრანშის მიღებამდე

¹ [USAID Learning Lab Discussion Note](#)

საჯარო მოხელეებს, პოლიტიკური თანამდებობის პირებს, პარლამენტის წევრებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებს და პოლიტიკური პარტიების ლიდერებს არ აქვთ უფლება იყვნენ პროექტის ხელმძღვანელები ან/და პროექტიდან მიიღონ ანაზღაურება.

COG-ი საგრანტო პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება და კონკურსს ავტომატურად გამოეთიშება საპროექტო იდეა, რომელიც მოიცავს:

- პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას ან/და ლობირებას
- რელიგიური ღონისძიების ორგანიზებას (თუმცა, შესაძლოა, დაფინანსდეს რელიგიური ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც არ ემსახურება რელიგიურ მიზნებს და შეესაბამება საგრანტო პროგრამის მოთხოვნებს);
- ჰუმანიტარულ საქმიანობას
- მეცნიერულ კვლევას
- ტრენინგს ორგანიზაციული განვითარებაზე ან/და დაფინანსების ახალი წყაროების მოძიებაზე
- ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ სამოგზაურო გრანტებს
- კომერციული დანიშნულების კაპიტალურ მშენებლობას

საპროექტო იდეების წარდგენის პროცედურა

საპროექტო იდეების წარდგენა შესაძლებელია ინგლისურ ან ქართულ ენაზე.

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეა მის მიერ უნდა იყოს მომზადებული. პლაგიატის შემთხვევაში ორგანიზაცია ავტომატურად გამოეთიშება კონკურსს. წარმოდგენილ საპროექტო იდეებს EWMI ACCESS–ი გამოიყენებს მხოლოდ კონკურსის მიზნებისთვის და მათ არ გადასცემს სხვა ორგანიზაციებს/პირებს. გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა ან/და „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო“ (USAID). სხვა დონორებთან კოორდინაციის მიზნით, საგრანტო კონკურსში დაფინანსებული პროექტების შესახებ მოკლე ინფორმაცია გავრცელდება იმ ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც მხარს უჭერენ არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში.

Submission: Applicants should submit their concept notes and required documents via e-mail to grants@ewmi.org e-mails must have “**COG PROGRAM**” in the subject line.

საპროექტო იდეა: საპროექტო იდეის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია www.jobs.ge-დან ან EWMI ACCESS ვებგვერდიდან www.ewmi-access.org.

განმარტებები: კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებს შეუძლიათ საგრანტო პროგრამასთან დაკავშირებული კითხვები გააგზავნონ ელ. ფოსტის მისამართზე tgurchiani@ewmi.org. კითხვების დასმა ასევე შესაძლებელია EWMI ACCESS–ის Facebook გვერდზე www.facebook.com/EWMI.ACCESS. კითხვებზე პასუხები გამოქვეყნდება ყოველ პარასკევს 7 დეკემბერიდან 21 დეკემბერის ჩათვლით EWMI ACCESS–ის Facebook გვერდზე.

საპროექტო იდეის წარდგენა: საპროექტო იდეები მიიღება ელ. ფოსტით მისამართზე grants@ewmi.org. ელ. ფოსტის სათაურში (Subject) უნდა მიეთითოს “COG PROGRAM”.

დამატებითი ვიდეო მასალა (არასავალდებულო)

სურვილის შემთხვევაში, საპროექტო იდეასთან ერთად, აპლიკანტებს შეუძლიათ წარმოადგინონ ვიდეომასალა, რომელშიც პროექტის იდეისა თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იქნება მოცემული. თუ თვლით, რომ პროექტის მთავარი იდეის/პრობლემის სრულად ასახვისთვის წერილობითი განაცხადი საკმარისი არ არის, მოამზადეთ ვიდეო, რომელიც ამ

იდეას/პრობლემას უკეთესად წარმოაჩენს. ვიდეოს პროფესიონალურ დონეზე გადაღება და დამონტაჟება არ არის სავალდებულო. ვიდეოს გადასაღებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიდეოკამერა, ტელეფონი, ან ციფრული ფოტოაპარატი.

ვიდეო უნდა იყოს:

- მაქსიმუმ 5-წუთიანი
- ატვირთული Youtube-ზე (შესაბამისი ბმული მიუთითეთ განაცხადში) ან CD-ზე ჩაწერილი

ვიდეომასალის წარმოდგენა სავალდებულო არ არის!

საპროექტო იდეების შეფასების პროცესი და კრიტერიუმები

საპროექტო იდეებს შეაფასებს სპეციალურად ამ საგრანტო პროგრამისთვის შექმნილი გრანტების შემფასებელი კომისია, რომლის შემადგენლობაში იქნებიან EWMI ACCESS-ის თანამშრომლები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მოწვეული პირები.

EWMI ACCESS საპროექტო იდეებს შეაფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საპროექტო იდეის შესაბამისობა საგრანტო პროგრამის მიზნებთან
- შემოთავაზებული სტრატეგიის ეფექტიანობა დასახული მიზნ(ებ)ის მისაღწევად
- პროექტის განხორციელების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის მასშტაბი
- ხარჯთეფექტურობა (მათ შორის, თანადაფინანსების არსებობა)
- პროექტის განმახორციელებელი გუნდის კვალიფიკაციისა და გამოცდილების ადეკვატურობა
- ორგანიზაციას მიერ მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება

საგრანტო პროგრამის ვადები

კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნება	5 დეკემბერი, 2018
ღია კარის დღე/ან ონლაინ კუნსულტაცია	10 დეკემბერი, 2018
კონკურსთან დაკავშირებული შეკითხვების წარდგენის ბოლო ვადა	17 დეკემბერი, 2018
EWMI ACCESS-ის მხრიდან კითხვებზე პასუხის გაცემის ბოლო ვადა	21 დეკემბერი, 2018
საპროექტო იდეების წარდგენის ბოლო ვადა	16:30 საათი, 28 დეკემბერი, 2018
საპროექტო იდეების შეფასება და საუკეთესოების შერჩევა	11 იანვარი, 2019
შერჩეულ ორგანიზაციებთან დეტალურ სამოქმედო გეგმებზე და ბიუჯეტებზე მუშაობა	25 იანვარი, 2019
გამარჯვებულ ორგანიზაციებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება	8 თებერვალი, 2019

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შეფასებისა და შედეგების გამოცხადების თარიღები შეიძლება შეიცვალოს

EWMI ACCESS-ის შესახებ

EWMI ACCESS-ი 6,897,000 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტია, რომელსაც USAID-ი აფინანსებს და EWMI ახორციელებს. პროექტის ადგილობრივი პარტნიორებია „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი“ (CTC) და „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“ (CiDA).

EWMI ACCESS-ის პროექტი 2014 წლის ნოემბერში დაიწყო და მიზნად ისახავს საქართველოში სამოქალაქო ორგანიზაციების ეფექტიანობის გაზრდას (1) მოქალაქეების ნდობისა და ჩართულობის გაზრდით არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებში და (2) არასამთავრობო ორგანიზაციების სტაბილური განვითარების ხელშეწყობით.